საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, გულუას ქნა, ტელ. 72 72 60

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ___32___

__22____08____ 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – დაბა ბაკურიანის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, იეთიმ გურჯის 7ბ, ქ. თბილისი
3. განხორციელების ადგილი – დაბა ბაკურიანი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 17.07.08
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „გერგილი“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია „დაბა ბაკურიანის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“, რომელიც მომზადებულია შპს „გერგილის“ მიერ.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვას არ საჭიროებს, აქედან გამომდინარე, წინამდებარე დასკვნაში განხილულია მხოლოდ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის საკითხები.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით დღეისათვის ბაკურიანის მოსახლეობა და საკურორტო ზონის დიდი ნაწილი სარგებლობს მცირედ განვითარებული და თითქმის ამორტიზებული საკანალიზაციო ქსელით, 2კმ სიგრძის დაზიანებული და ძირითადად გაუქმებული 300მმ დიამეტრის გამყვანი კოლექტორით, დღეისათვის ფეკალური სითხე ჩაედინება, პირდაპირ მდ. ბაკურიანის წყალში რამდენიმე ადგილზე, რადგანაც ძველი აშენებული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები მთლიანად მწყობრიდან გამოსული და გაუქმებულია.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ბაკურიანის კანალიზაციის ქსელისა და გამყვანი კოლექტორის რეაბილიტაციას გამწმენდ ნაგებობამდე და დაბის ერთ უბანში სატუმბო სადგურის მშენებლობას. რაც შეეხება კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობას, მისი პროექტირება და მშენებლობა წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანალიზაციის სისტემა თვითდენითი იქნება, სამეურნეო ფეკალური წყლები ძირითადად იკრიბება კოლექტორ „ა“-ში, რომლის ტრასაც მიყვება მდ. ბაკურიანულას დასახლების მთელ სიგრძეზე და მთავრდება გამწმენდ ნაგებობასთან.

მეორე კოლექტორი „ბ“ - შეკრებილ წყლებს მიაწვდის სატუმბო სადგურს, საიდანაც გადაიტუმბება „ა“ კოლექტორში 160მმ დიამეტრისა და ორძაფიანი 1032მ სიგრძის სადაწნეო მილსადენით. საკანალიზაციო ქსელში გამოყენებული იქნება პლასტმასის მილები.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში დეტალურად არის განხილული გარემოს არსებული მდგომარეობა. კერძოდ, მოცემულია ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის და ფიზიკურ გეოგრაფიული პირობების ამსახველი მაჩვენებლები: კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, გეომორფოლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, ბიომრავალფეროვნება, ატმოსფერული ჰაერის და ხმაურის გავრცელების ფონური მდგომარეობა, დახასიათებულია აგრეთვე ღვარცოფსაშიში მოვლენები და სხვა.

ექსპერტიზის პროცესში გამოთქმული მოსაზრებები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

1. დაბა ბაკურიანის საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოებში გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული საკანალიზაციო მილების დემონტაჟი და გატანა;
2. მოხდეს ნარჩენი გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების განთავსების გეგმის შემუშავება და განხორციელება; საკანალიზაციო სისტემის კოლექტორებისა და ქსელების გაჟონვის მუდმივი მონიტორინგი და სარემონტო სამუშაოების დროულად განხორციელება;
3. აუცილებელია სამუშაო უბნის ყველა მონაკვეთის აღდგენა თავის საწყის მდგომარეობამდე;
4. განხორციელდეს გარემოს დაცვითი მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

IV. დასკვნა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილი „დაბა ბაკურიანის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი

თინათინ ჟიჟიაშვილი
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

204861943